26/02/2026

ახალციხის მე-5 საჯარო სკოლაში ღირებულებითი განათლების კლუბი დაფუძნდა

საქართველოს საპატრიარქოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურისა და განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს თანამშრომლობის ფარგლებში, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გადამზადებული სასულიერო პირის მიერ ახალციხის მე-5 საჯარო სკოლაში ღირებულებითი განათლების კლუბი დაფუძნდა.

ღირებულებითი განათლება სკოლებში მიზნად ისახავს მოზარდს ჩამოუყალიბოს სწორი დამოკიდებულებები საკუთარი თავის, სამყაროს, სხვა ადამიანებისა და მის ირგვლივ მომხდარი მოვლენების შესახებ, მოამზადოს მომავალი ცხოვრებისთვის მაღალი სამოქალაქო პასუხისმგებლობის მქონე მოქალაქე.

sazu.ge